აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 18

6 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის გურამ გოგიტიძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის წარდგინების თაობაზე

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' 102-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. უარი ეთქვას თანხმობის მიცემაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის წარდგინებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის, გურამ გოგიტიძისათვის აღმკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების შესახებ;

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე